



საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო  
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

სამართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. 6ა, ტელ: 72-72-00, 72-72-20 ფაქსი: 72-72-37,

გ ა მ ტ კ ი ც ე ბ  
ლიცენზიებისა და ნებართვების  
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ცხაკაია

(სახელი)

ბაქრაძე

(ხელმოწერა)



ეკოლოგიური ექსპერტიზის  
დასკვნა პროექტზე

№ 10

31 იანვარი 2008 წ.

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – გუმათის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი – ს/ს „ენერგო-პროჯორჯია“ თბილისი, მარჯანიშვილის ქ.16
3. განხორციელების ადგილი – ქ. ქუთაისი, გუმათის მარცხენა დასახლება
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 10.01.08.
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. № 9

## II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მიერ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „გუმათის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად საქმიანობის განხორციელება გათვალისწინებულია ქ. ქუთაისში.

ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია გუმათის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. ტექნიკური პროექტის თანახმად გუმათჰესის კასკადი ორსაფეხურიანია და შედგება გუმათჰესი I-ის გრავიტაციული კაშხალისა და გუმათჰესი II-ის სადერივაციო ნაგებობისაგან.

წყალსაცავის საპროექტო მოცულობა შეადგენდა 35 მლნ.მ<sup>3</sup>-ს, სასარგებლო მოცულობა 13 მლნ.მ<sup>3</sup>-ს, რაც ორივე სადგურზე დღე-ღამური რეგულირების საშუალებას იძლეოდა. იმის გამო, რომ წყალსაცავის ჰიდრაულიკური რეცხვა რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში არ ჩატარებულა, წყალსაცავის მთელი მოცულობა შევსებულია მყარი ნატანით. დღეისთვის წყალსაცავის ფაქტიური მოცულობა არ აღემატება 1,2 მლნ მ<sup>3</sup>-ს და ჰესები მუშაობენ გატარებულ წყალზე, როგორც არარეგულირებადი ჰესები. გარდა ამისა, მყარი ნატანის დაგროვების გამო, წყალსაცავის შესართავში აწეულია მდ. რიონის დონე და წყალდიდობის პერიოდში ადგილი აქვს სოფ. სოფ. ოფურჩხეთის და ჟონეთის მოსახლეობის ნაწილის საკარმიდამო ნაკვეთებისა და საცხოვრებელი სახლების დატბორვის ფაქტებს. წყალსაცავის სანაპირო ზოლში და მიმდებარე ტერიტორიებზე აღინიშნება მრავალი მეწყერული და ეროზიული უბნები.

წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული წყალტუბოს რაიონის (სოფ. სოფ. გუმათი, ოფურჩხეთი, ჟონეთი და რიონი) სოფლები არაკანალიზირებულია, რის გამოც ადგილი აქვს წყალსაცავის დაბინძურებას სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლებით.

გუმათჰესის დასახლების საკანალიზაციო კოლექტორისა და გუმათჰესი-II სადერივაციო არხის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე გამწმენდ ნაგებობის უმოქმედობის გამო სადერივაციო არხი და მისი მიმდებარე ტერიტორია სისტემატურად ბინძურდება დასახლებისა და ჰესის ადმინისტრაციული შენობის სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლებით.

გუმათჰესი-I ექსპლუატაციაში შევიდა 1958 წელს წელს, გუმათი-II – 1956 წელს. ჰესები გამოიყენებენ მდ. რიონის შუა დინების ენერგეტიკულ პოტენციალს. ლაჯანურჰესის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, გამოიყენება მდ. ცხენისწყლის ჩამონადენის ნაწილიც. გამოიყენებული წყალი გამყვანი არხით ჩაედინება რიონჰესის კაშხალის ზედა ბიუფში.

გუმათჰესი I-ის სრული დადგმული სიმძლავრე შეადგენს 44 000 კვტ, გუმათი II-ის – 22 800 კვტ.

ჰესის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 24,7 ჰა. მოხმარებული წყლის ხარჯი შეადგენს 2 248 516 800 მ<sup>3</sup>/წ.წ., სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება ხორციელდება გუმათი I-ის წყალსადენიდან წყლის ხარჯი შეადგენს 657 მ<sup>3</sup>/წ.წ.

ჰესის არსებული მდგომარეობისა და მოსალოდნელი მაღალი ავარიული რისკების გათვალისწინებით გზშ ანგარიშის თანახმად გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან ეკოლოგიური თვალსაზრისით საყურადღებოა კაშხალის მონიტორინგის სისტემის განახლება, წყალსაცავის მყარი ნატანისაგან გაწმენდა, გუმათჰესი-II სადაწნეო რეზერვუარის გამრეცხი რაბების რეაბილიტაცია, გუმათჰესი-II სადერივაციო არხის მოპირკეთების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა, კაშხალზე არსებული სიღრმული გამრეცხების რეაბილიტაცია, ზეთის საცავის ტერიტორიის შემოღობვა, ბეტონის საფარის, სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემისა და ნავთობდამჭერი დანადგარის მოწყობა.

წარმოდგენილ გზშ ანგარიშში განხილულია გუმათჰესის რეაბილიტაციისა და ფუნქციონირების პროცესში გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების წყაროები და სახეები, მათი თვისობრივი და რაოდენობრივი დახასიათება და განსაზღვრულია ნეგატიური ზემოქმედების თავიდან აცილების გზები.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გზშ ანგარიშში განხილული გარემოს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების მოსალოდნელი ცვლილებებიდან ჰესის ექსპლუატაციის პერიოდში, ძირითადია ზემოქმედება მდ. რიონის ჰიდროლოგიასა და კალაპოტის დინამიკაზე (ნაპირების გამორეცხვა, მეწყერული და ეროზიული პროცესები), რაც გამოწვეულია ზედა ბიეფში დიდი რაოდენობით მყარი ნატანის დაგროვებასა და აქედან გამომდინარე, წყალსაცავის სასარგებლო მოცულობის შემცირებით. ამის გამო წყალსაცავში თვითგაწმენდის პროცესი აღარ მიმდინარეობს და არ ხდება მდ. რიონის წყლის ხარისხის გაუმჯობესება.

კაშხალზე თევზსავალი ნაგებობების არ არსებობების გამო მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ნეგატიური ზემოქმედება იქთიოფაუნაზე, კაშხლის ქვედა ბიეფში, რიონჰესის წყალსაცავში და ქუთაისის ქვემოთ რამოდენიმე ათეული კოლომეტრის მანძილზე;

სოციალურ გარემოზე ზეგავლენა, წყალსაცავში დიდი რაოდენობის ნატანის დაგროვების გამო, დაკავშირებულია სოფ.სოფ. ოფურჩხეთის და ჟონეთის მოსახლეობის ნაწილის საკარმიდამო ნაკვეთებისა და საცხოვრებელი სახლების დატბორვასთან.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჰესების კასკადის ექსპლუატაციის პერიოდში წარმოქმნილი საწარმოო ნარჩენებიდან მნიშვნელოვანია ნამუშევარი ტურბინის ზეთისა (გამოყენებულია ТИ-30 ტურბინის ზეთი) და სატრანსფორმატორო ზეთის გაწმენდის შედეგად წარმოქმნილი დაბინძურებული მასა, რომელიც შეგროვდება ადგილზე და გატანილი იქნება ცენტრალიზებული წესით. (ანგარიშში არ არის

გადაწყვეტილი ნამუშევარი ზეთებისა და ზეთის საცავის ტერიტორიაზე წარმოქმნილი 4,75მ<sup>3</sup> დაბინძურებული გრუნტის ფენის

გაუვნებელყოფისა და მისი განთავსების ადგილთან დაკავშირებული საკითხები).

საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების განთავსება გათვალისწინებულია ქ. ქუთაისის ნაგავსაყრელზე.

წარმოდგენილ გზშ ანგარიშში განხილულია სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისა და ჰესის ფუნქციონირების პერიოდში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციები, განსაზღვრულია სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს ნეგატიური ზემოქმედების წყაროები და ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები ჰესის ექსპლუატაციის პერიოდში; აგრეთვე განსაზღვრულია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზები და საშუალებები. ჰესის რეაბილიტაციისა და ფუნქციონირების პერიოდში მოსახლეობაზე და გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაციის მიზნით მოცემულია გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმა.

იმის გათვალისწინებით, რომ ჰესის ექსპლუატაციის შედეგად გარემოზე ზემოქმედება განხორციელებულია გასული საუკუნის 50-60-იან წლებში და აქედან გამომდინარე ადაპტაციის პროცესი დიდი ხნის დასრულებულია, ჰესის ფუნქციონირებისა და დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შედეგად გარემოს არსებული მდგომარეობა პრაქტიკულად არ შეიცვლება.

ჰესის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისა და ექსპლუატაციის დროს გარემოსა და სოციალურ სფეროზე მინიმალური ზეგავლენის უზრუნველსაყოფად ეკოლოგიური ექსპერტიზის მიმდინარეობის დროს დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები ასახულია წინამდებარე დასკვნის III თავში.

### III. პირობები


1. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარმოადგინოს დასკვნის პირობებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების გეგმა-გრაფიკი (შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის განხილვისა და შეთანხმების გათვალისწინებით);
2. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს:
  - გუმათის წყალსაცავის აკვატორიაში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე საშიში გეოდინამიკური პროცესების აღკვეთის მიზნით საინჟინრო ღონისძიებების პროექტის დამუშავება, წყალსაცავის ნაპირების დეფორმაციის მხედველობაში მიღებით, სადაც გათვალისწინებული იქნება არსებული მდგომარეობის სტაბილიზაცია—ლიკვიდაცია და პერმანენტულად განსახორციელებელი სამუშაოების შემადგენლობა და პერიოდულობა;
  - ქვესადგურისა და ზეთსაცავის ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების მოცილებისათვის საჭირო სადრენაჟე სისტემისა და ნავთობდამჭერი დანადგარის მოწყობა;
  - მარცხენა და მარჯვენა ნაპირის დასახლებებისა და გუმათჰესი ობიექტის ძალოვანი კვანძის საკანალიზაციო კოლექტორის რეაბილიტაცია და გამწმენდი ნაგებობის აღდგენა-რეკონსტრუქცია;
  - ძალოვანი კვანძის ტერიტორიაზე ხანძარქრობის ავტომატიზირებული სისტემის მოეწყობა;
  - მდინარის წყალმცირობის პერიოდში სანიტარული ხარჯის გატარება გრავიტაციული კაშხლის ქვემო ბიეფში არანაკლებ მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%;
3. გუმათჰესის წყალსაცავის გარეცხვის სამუშაოები განხორციელდეს რიონჰესის წყალსაცავის გარეცხვის პარალელურად;
4. რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ტოქსიკური სამრეწველო ნარჩენები (ნამუშევარი ზეთი, ზეთით დაბინძურებული 4,75მ<sup>3</sup> გრუნტი, და ა.შ.) შეგროვება მოხდეს რკინის დახურულ კასრებში, რომელთა გადამუშავება განხორციელდეს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად
5. ჰესების ეფექტური ფუნქციონირებისა და უსაფრთხოების გაზრდისთვის აუცილებელია სათავე ნაგებობის ზემო ბიეფში, წყალსაცავის გავლენის ზონის გარეთ, მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრთან შეთანხმებით მოეწყოს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისი წყლის ღონის ავტომატიზირებული და ხარჯის გამზომი საგუშაგო, ხოლო უშუალოდ სათავე ნაგებობებზე, სანიტარული ხარჯის აღრიცხვის მიზნით, განხორციელდეს წყალსაშვი ნაგებობების ტარირება;
6. წყალსაცავებიდან წყალდიდობების წყლის ხარჯების გატარების ან ავარიული გაშვებების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჩატარდეს სათავე ნაგებობების ქვემო ბიეფის არსებული მდგომარეობის გამოკვლევა, სათანადო საინჟინრო ღონისძიებების და გამაფრთხილებელი სისტემის დასახვა-განხორციელება;

#### IV. დასკვნა

ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „გუმათის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით.

ეკოლოგიური ექსპერტიზის  
კომისიის თავმჯდომარე



მალხაზ მიმინოშვილი  
(სახელი, გვარი, ხელმოწერა)